

572
977

1977 ՅՅՅՆՆՆՆ ՈՒՅ

ԳՆԱԿԱՆ

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ
ՆԵՐՈՒՄՈՒՅՅ



ნაღუკი

ბარილ ხაშოასი



ბიბინებს,
ბიბინებს,
ბიბინებს,
სიმინდის ყანა ბიბინებს;
ნადი შევკრიბე ბიჭების,
სოფელი შემოვირბინე.

აღესეთ, თოხი აღესეთ,
ბიჭებო, თქვენსა ლხენასა,
მოდიოთ, ჯერ ყანა გავთოხნოთ,
მერე მივხედოთ ვენახსა.

მთიბავშვები

ავთანდილ მამბალიაშვილი

სალამოა, მოვრჩი თიბვას,
მზე აღარ ჩანს უკვე ცაზე.
ეს სათიბიც გაითიბა,
ესეც ასე, ესეც ასე.
ოქროსფერი ბულბულები
ავიკილეთ ბაწრით მხარზე.
საქონელმა გაიხარა:
ესეც ასე, ესეც ასე!

13.42/



ქ. შარქაძის ს. შ. საჯ. სკოლა
სახელმწიფო რაიონული
ბიბლიოთეკა



პეოცნაბა გიჭი

ძეთეპან სანიუზვილი

დათო ძილბურანიდან ვერ გამორკვეულიყო, ჯერ ისევ ლოგინში ნებვირობდა. სწორედ იმ დროს ჩაესმა მამის სიტყვები:

— ვენაცვალე, თოფო, შენს მომცემს, შენ რომ არა, წუხელის მგელი ცხვარს მომტაცებდა! მგლის ხსენებაზე, ბიჭი უცბად გამოერკვა, ლოგინში თვალეების სრესით წამოაჯდა და მამას ჰკითხა:

- სად იყო მგელი?
- მამამ შეიღს გადმოხედა და დინჯად მიუგო:
- ნასანგრაღში, ფარაში მომივარდა ის სატიანო... თოფი ვესროლე, შეეშინდა და გაიქცა,— მამა დიღის ცვრით დანამულსა და განესტიანებულ თოფის ლულას სწმენდდა.
- ვინ მოგცა მამი ეგ თოფი?

— ჩვენმა დიდმა ილიამ, შეიღო!—უპასუხა მამამ და თოფს ახლა ზევიდან გადაუსვა ფარაჯის კალთა.

- ვინ არის ჩვენი დიდი ილია?
- აგერ, შეიღო,—გაიშვირა ხელი ტყისაკენ,—ტყის პირას მაღალი სახლი რომ არის, მისი პატრონია.

— დიდი კაციო, მამა?

— ჰო, შეიღო, ძალიან დიდი, საქართველოში ყველაზე დიდი კაცი ის არის.

— როგორი დიდიო, მამა, ნასანგრაღში დიდი მუხა რომ დვას, იმოდენა იქნება?

მამამ ოდნავ გაიღიმა და თავის დაქნევით დაეთანხმა.

- ჰო, შეიღო, კიდევაც დიდი!
- ამის შემდეგ ვავიდა რამდენიმე კვირა. მეზობლის ბავშვებთან თამაშში გართულს უფროსი დღის ძახილი შემოიესმა, მიიხედა, სახეგალიმებულმა გოგონამ მიიჩინა ძმისთან და მხიარულად შესძახა:

— დათიკო, წამოდი შინ, დედამ ქვეყანაძიან-თან უნდა გაგვაცხადოს!

— მარტო!—გაუსხარდა ბიკს, ახლა კი ნახავდა მუხისოდენა ადამიანს, „დიდი ილიას“.

მიატოვდა თანატოლებთან თამაში და ხბოსავით აედუნება დას. შინ მისულ ყმაწვილებს დედამ კალათაში ჩასმულ იხვის ქუჭულებზე მიუთითა და დაარჩავა:

— აი, შვილებო, ეს ქუჭულები უნდა წაიყვანოთ ქვეყანაძიანთას. სასახლესთან რომ მიხვალთ, ხეზე ადით, რომ ძაღლებმა არ დაგვლიჯოთ, იქიდან დაუძახეთ ბიკოლათქვენ სოფიოს, ხომ იცით, იქ პურისმცხოვრად არის. სოფო ძაღლს რომ დაუძახებთ, გაიგონებს ვინმე, მოვა და მიიგვივანთ ილიას მოურავთან. მოურავს გააგებინებთ, ვისი შვილებიც ხართ, გადასცემთ ამ ქუჭულებს და ეტყვიან: დედამ გამოგვჩვენათქო.

გოგონამ წამოავლო კალათას ხელი და გზას გაუდგინა. მისასვლელში ღობის გარედან ერთ-ერთი ხის ძირში გოგონამ კალათა დადგა, იმავე ხეზე ჯერ ძმა შესვა, შემდეგ თვითონაც ავიდა და გასძახა:

— სოფოო ძაღლო!

მოულოდნელად ხის ძირიდან მამაკაცის ხმა მოგვინათ:

— რა გინდათ, ყმაწვილებო? ჩამოდით დაბლა! უცხო ადამიანის დანახვაზე ყმაწვილები გასუსულები ჩამოვიდნენ და, როცა უცხო კაცმა ხელახლა იკითხა,—რა გინდათო, გოგონამ სიტყვა-სიტყვით გადასცა დედის დანაბარები. უცხო კაცი გაოცდა, შუბლი შეიკრა. გოგონამ კი ქუჭულებიან კალათას ხელი დაავლო, მიურბენინა და წინ დაუდგა.

ეს უცხო კაცი არც გლეხს ჰგავდა, არც მუხისოდენა ადამიანი იყო, რომლის დანახვასაც ბიკი ოცნებობდა. ის დიდხანს იდგა შუბლშეკრული და პირმოკუმული, ბოლოს ხმა ამოიღო:

— მომყვით, ბავშვებო!

მან სახლის წინ დიდი კაკლის ქვეშ წყაროსთან მიიყვანა პატარები და იქიდან ქვემოთ გადასძახა:

— მოსე!

ბიკი ეზოში შესვლისთანავე გაფართოებული თვლებით იყურებოდა აქეთ-იქით და დაქებდა მუხისოდენა ბუმბერაზ ილიას.

დაძახილზე სულმოუთქმელად მოიხრბნა შვირ-ღისფერჩოხიანმა მოურავმა.

— რას მიბრძანებ, ბატონო?

— მოსე, ერთი გამაგებინე, ამ ყმაწვილებმა რად მოიყვანეს ეს იხვის ქუჭულები?—მიუთითა კალათზე.

— ვისები ხართ, ბაღლებო?—შეეკითხა მოსე.

— უნდოდაშვილი ისაკახი,—უპასუხა გოგონამ მკვირიცხლად. დიდი თვლები ჯერ უცხო კაცს შეანათა, შემდეგ წითელ ჩოხიანს,—დედამ ეს იხვის ქუჭულები გამოგვატანა და გვითხრა: ილიას მოურავს მიუყვანეთო!

— ჰოო, დიახ, ბატონო!—მიუბრუნდა მოსე ბავშვების მომყვანს,—იხვის კვერცხები გლეხებს დავურიგე, ქათმის კრუხებს გამოაჩეკინეთ და, როცა ცოტა წამოიზრდებიან, ნახევარი თქვენთვის დაიტოვებთ და ნახევარიც ჩვენ მოგვიყვანეთ-მეთქი.

— მერე, კვერცხში იხვს ართმევ? სირცხვილი არ არის?—შუბლშეკვრით მიმართა უცხო კაცმა ნაწყენი კილოთი. ცოტა ხანს ჩაფიქრდა, ბავშვებს გადახედა,—წყაიყვანე ეს ყმაწვილები, თაფლი და მურაბა აჭამე. პატარებს ტკბილეული უყვართ. ეგ ქუჭულები კი იხევ უკან გაატანე!—დაუმტა ბრძანების კილოთი.

მოსემ ყმაწვილები ოთახში შეიყვანა, ტკბილეულით გაუმასპინძლდა და მერე შუბლშეკრულმა ის იხვის ქუჭულები უკანვე გაატანა.

ბიკუნა სახლისაკენ დაფიქრებული მისდევდა თავის დას და თან თვალები უკან რჩებოდა: ეგებ სადმე, როგორმე დავინახო მუხისოდენა ილიაო...

ბავშვებამ ისე ჩაუარა, დიდი ილია ვერა და ვერ ნახა. მხოლოდ როცა წამოიზარდა და დაუფიქრდა ბავშვობისდროინდელ ნანახსა და განცდილს, მისვდა, რომ ის მათი მიმკვირვებელი იყო მუხისოდენა ადამიანი. ამიტომაც ბევრჯერ დასდგომია თვალწინ იმ კაცის საყვარელი სახე, დიდი, სიკეთით სავსე თვალელები და ხშირად ცხადად ჩაესმოდა ხოლმე მისი სიტყვები, მოსეს რომ უთხრა საყვედურით:

— მერე, კვერცხში იხვს ართმევ? სირცხვილი არ არის? წაიყვანე ყმაწვილები, თაფლი და მურაბა აჭამე, პატარებს ტკბილეული უყვართ. იხვის ქუჭულები კი იხევ უკან გაატანე“.



ლატვიის სსრ



ზიჯვადი ქუსი

ოიარ ვასილიძისი

ჩვენ სკოლა გვაქვს ახალი,
ლამაზი და მაღალი.
გვაქვს პატარა მერხები,
წიგნი—ცოტა ძალიან,
ყურმასთვის და ფისოსთვის
ახლა სადა გვცალია.
რაა გასაკვირველი—
მოგვწონს სიტყვა პირველი.
ციფრიც მოგვწონს პირველი,
ანბანს ვიწყებთ ხვალ,
ზეგ დავიწყებთ თვლას.



ლიტვის სსრ

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



მზიური დახვაჯე

3. რულოქანი

ჩვენი ქვეყნის ცა—ლაჟვარდი
მართლაც მტრედისფერია,
ჩემი ქვეყნის ლაჟვარდ ცაზე
სულ მტრედები მღერიათ.

მეც დავხატე ასი მტრედი,
ცას ღულუნით სერავენ,

თან ვუთხარი: იფრთხილეთ,
ხელს ვერ გახლებთ ვერავინ.

ყველგან თქვენი ზინა არის,
ყველგან თქვენი ჭერია,
ჩემი ქვეყნის ცა—ლაჟვარდი
მულამ მტრედისფერია.



ქსტონეთის სსრ



დასი

1. ტიზანი

ერთხელ კერსტი სკოლიდან გახარებული დაბრუნდა შინ და დაიკოს მიახარა:

— იცი, ლია, დღეიდან ყველაფერში მე უნდა მომბაძო.

ლიას თავიც არ აღუწევია, ისე მიუგო:

— შენ მომბაძე, თუ კარგია!

— ჩემო დაიკო, — გაეცინა კერსტის, — შენ ჯერ ბატარა ხარ. თუ ყველაფერში ჩემსავით მოიქცევი, კარგი გოგო იქნები.

ის-ის იყო, ლიას უნდა ეთქვა, სულაც არ ვფიქრობ, შენ მოგბაძო, რომ კერსტის მკერდზე წითელ ვარსკვლავს მოჰკრა თვალი.

„უი, რა ღამაააა ვარსკვლავია! ნეტავ მეც მქონდეს.“ — გაიფიქრა ლიამ.

კერსტი შუა ოთახში ამაყად იდგა და მკერდზე ოქტომბრულთა ვარსკვლავი უბრწყინავდა.

აბა, რაკი კერსტი ოქტომბრელია, რა თქმა უნდა, უმცროსმა დაიკომ უნდა მიბაძოს.

კერსტი გაკვეთილებს ჩაუჯდა. ლიამაც მიატოვა დედოფალა და ნახატებიან წიგნს დაუწყო ძებნა. როცა კერსტი ღლინებდა, ლიაც ღლინებდა.

აი, კერსტი წინდების დაკემსვას შეუდგა. საქმე რომ მოათავა; ლიას სთხოვა, ეს ნემსი და ძაფი დედას წაუღეო.

— არ წავეღებ, — გაჯიუტდა ლია, — ახლა ჩემი წინდები უნდა დავკემსო.

— წაუღე ახლავე, — უთხრა კერსტიმ, — შენ ჯერ ბატარა ხარ. წინდების კემსვა რა შენი საქმეა?

ლიამ კერსტის შეხედა.

— რა დიდად მოაქვს თავი. დამაცადოს, მეც გავხდები ოქტომბრელი, — ბუტბუტებდა ლია.

ღაგასარე

ნოღარ ჟამანაძე

ბოჰერს ტურა ვადანტა,
თან ვადანტა მხარე ლასტი;
— დამცადე, ვეფსვი გავნდე,
ერთიც მერე ვადანსტი!



პიკუა ბაჩია

ბუკანია, ბუკანია,
რაც გიჭამია, ზირსე ვაჩნია;
ფისოც გუობია, ცუგოც, ბაჭიაც,—
რაც უჭამიათ, სულ არ აჩნიათ.



გოჭების აბანო

რა სჯობია ამ აბანოს,
ფართო კარი უჭრიალებს,
გოჭებს გვიბანს, გვიღამაშებს,
გათფრიალებს და ჭუჭუიანებს.

13 6 5 100
10 23

— ერთი! შვილი! ათი! ასი!—
აი, დათვლა ნათიასი!



სეირნობა

რუსთაველზე ვსეირნობდით
იმ დღეს მთელი კლასი.
ხან ლალიძის წყალი ვსვით და
ან—ქათქათა გლასვ.



ეკას ბეკეკე

თხამ უმატა წველას,
გვიხარია ყველას:
ეკასა და გიგოს,
გოგისა და გელას.
ყველაფერს ჭამს ეს თხა,—
ხის ფესვებს და ხის წვერს.
იმ დღეს, თხაც და გიგოც,
გასულიყვნენ თხილზე!
გემრიელი, დაო,
პიტომ არის თხის რძე!

ნათია

კობტა გოგო ნათიას
ცისკრის ათინათიას.
ნეტავ, ერთი კი არაღა,
კვყავდეს ათი ნათიას!



ღაშა-ბიჭი— მკაშა წონა

სულ იმას ეუბნებოდნენ:
— ბიჭო, როგორი მკატე ხარ!
ბაბუას სავარძელი კი
ერთი ჩაჯდომით ჩატეხა!

მოსუკავე ბიჭი

ვინ ეშმაკმა მომიგონა—
ვერ ცურავსო, ვინ თქვა?!
ცურვაც ვიცი, გენაცვალე,
და ცოტ-ცოტა ყვინთვაც!
მაგრამ საბნინი გახლავთ
აბაზანის წყალი:
ჩაეყვინთავ და—იმ წუთშივე
ამეწევა თვალი!



მარინა

როსტომ ელანიძე

ნიკა მარინეზე ორი წლით უმცროსი იყო. მაკა არ ისვენებდა, სულ თხასავით დახტოდა, როცა რამეს დაწაფებდა, ძმას გადააბრალებდა. უფროსებმა იცოდნენ მისი ცეცხლოვანი ამბავი და არ უჯერებდნენ; ხშირად ამტყუნებდნენ... ამიტომ ცდილობდა ნიკასთვის რაიმე დანაშაულზე წაესწროთ, დაესაჯათ, რომ თვითონ ზოგჯერ მინც მართალი გამოსულიყო.

ერთხელ ლობეს შეებატა და თან ძმას მიიძახა:

— აბა, თუ ბიჭი ხარ, ამოდი!

— არა, მაკა, ლობეზე ასეა არ შეიძლება, კაბა ან წინდები დაგეხვევა,—აფრთხილებდა ძმა...

— არა, შენ მშობრა ხარ, ვერ ამოხვალ, აი, მე შემხედვ. აქ ამოსვლას რა უნდა,—არ ეშვებოდა, თანაც ლობეზე ხტუნავედა, ძმას ტუჩებს უბრეკავედა,

თითს უტრიალებდა.

რომ აღარ მოეშვა, ნიკაც გაგულისდა და მთელი ვერ ამოხვალა, მიიძახა და ისიც აცოცდა. მაკამ ერთი გულიანად გადაიხარხარა, უმაღლე ძირს ზღართანი მოაღინა, თან სახლისკენ გასძახა:

— ბებო! ნიკა ლობეზე ავიდა, ლობეზე!

ბიჭი ბრაზიგან გაწითლდა, უნდა გადმომხტარიყო, მაგრამ ფეხი წნელებში გაეჩხირა, ხალათის ბოლო ეკალს გამოეღო და გაიხა, ეკლის მოშორებაში ხელიც გაეკაწრა, აწითლებულ ლოყებზე ცრემლები გადმოუვარდა.

მაკა იმის მაგიერ, რომ ძირს ჩამოსვლაში მოხმარებოდა, უფრო ხმაბალა ყვიროდა:

— ბებო, ჩქარა გამოიხედე, ნიკა ლობეზე ავიდა და ხალათი გაეხა, ხელიც გაეკაწრა!

სონა ბებო იმდროს იქვე საშხარეულოში ტრიალებდა,—ყველაფერი ესმოდა, გამოვიდა, ნიკას მოეფერა, ლობიდან ჩამოიყვანა და მერე ნამდვილი დამნაშავე დასაჯა.



ნაირა ნიქარაძე

იბრაწება წითლად მწვერი,
დაცქრიალებს კანტა ნელი;
საჭანური დაღვა გობით,
დაარტობა რიკრიკობით.

- ეს მაძიებს,
- ეს დედიკოს...
- აბა, ფისო
- რა ღირსია,
- არც მუშაობს,
- არც თავს იჭერს,
- ცუდი დიანახლინია.

ნახატები მანანა მორჩილაძისა



ბობობოკა

ნაზი თარგამაძე

ბობობორას სპი შვილი ჰეზვს:
ეურშა, მურა და თოლია, —
თავს დაფოფინებს წკმუტუნით,
ქვეყანა მისი ჰგონია.

ახლოს არაფის იკარებს,
არ ერწის მსოფლოდ ბებიას.
დეკავებიც წკმუტუნ-წკაფწკავით
დედამისს არ სცილდეებიან.

ისეთი გრძელი ეურები
და ჯიშინი უბები აქვთ,
ეფუთ შესმრავენ მთელ სოფელს,
როგორც კი დაძაღღებინან.





რაგომ აჩის ყაყაჩო ნითაღი?

ლასლო პარზი

იყო და არა იყო რა, უხსოვარ დროში იყო ერთი ხოდაბუნნი. ხოდაბუნის პირას, თხრილში, განმარტობით ამოსულიყო ერთი ცისფერი ველური ყაყაჩო. დიახ, ნამდვილად ცისფერი! ვინ იცის, იქნებ, დღემდეც ცისფერი ყოფილიყო, ერთი შემთხვევა რომ არა.

ერთ მშვენიერ დღეს ველურმა ყაყაჩომ ნაზად გაშალა ცისფერი ფურცლები, ირგვლივ მიმოიხედა, მზის სხივებს შესცინა და თავისდაუნებურად გაიფიქრა: „ოჰ, რა ლამაზია ეს დალოცვილი ქვეყანა და რა ბედნიერია ყველა სულდგმული!“ ოქროსფრად მოლოგივივე პურის ყანამ ხომ მთლად აღტაცებაში მოიყვანა.

მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მისი სიხარული. უცებ ყაყაჩომ თვალი მოჰკრა ნახევრადშიშველ ადამიანებს, წელში მოხრილნი რომ მუშაობდნენ ყანაში, პაპანაჭება სიძხეში. მსუქანი მუცელგაბერილი ზედამხედველი კი იღვა იქვე, მათ გვერდით და ტყავის მათრახს იქნევდა: „აბა, მონებო, იმუშავეთ, თორემ მათრახით ავიჭრებებთ

ზურგებსო!»

პატარა ყაყაჩოს გული ეტკინა, ცისფერი ფურცლები აუკანკალდა. უყურა შეწუხებულმა, უყურა და ამოიოხრა. აბა, მეტი რა შეელო!

წელში მოხრილ მონებს კი წურწურით ჩამოსდიოდათ ოფლი მცხუნვარე მზის ქვეშ.

უცებ ერთი მონა კენესით დაეცა მიწაზე, თხრილის პირას, ზედ ყაყაჩოს გვერდით. შუბლიდან ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი. ერთი წვეთი ყაყაჩოსაც დაეცა. როგორც კი მლაშე წვეთი ცისფერ ფურცლებს შეეხო, თოვლივით გაათეთრა.

ზედამხედველი ისევ მათრახს იქნევდა და ილანძღებოდა:

„აბა, მონებო, იმუშავეთ, იმუშავეთ!“

ახლა მეორე მონამ ჩაიმუხლა.

„ადექი, შე უქნარაო!“—დაიღრიალა ზედამხედველმა და ისეთი ძალით შემოჰკრა მათრახი, რომ სისხლმა ითქრიალა. ერთი წვეთი ყაყაჩოსაც დაეცა და იმავე წუთში წითლად შეღება.

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა, ყაყაჩო დღესაც ჰყვავის და მისი ფურცლები დღესაც წითელია.

უნგრულიდან თარგმნა **ლილი მაისურაძემ**

დათვის გაღი

თელო გაიფილი

მოიყვანეს დათვის ბელი
დაბურული ტყიდან.
ბუთქუნა და საყვარელი,
ციცქა, ერთი ციდა.
დათუნის ყველაფერი
სასაცილო ჰქონდა,
თათს პირში რომ ჩაიდებდა,
ძუძუსავით წოვდა.
მოგება უცხო სტუმარს
მურა—ყურბანტურა,
მოეწონათ ერთმანეთი
მასპინძელს და სტუმარს.
ერთად ჰამდნენ,
ერთად სვამდნენ,
იზრდებოდნენ ძმურად...
ზაფხული რომ გავიდა და
რთველიც მიიწურა—
ერთხელ დათომ ჩვენი მურა
კარგად შეახურა.
გულნატყვნმა მურიკელამ
მწარედ წაუტირა,
ნაბეგვი და დატორილი
მიწვა ღობის ძირას.
ხოლო დათომ,

დათვის ბელმა,
თვინიერმა მუდამ—
დაჰკრა ფეხი და ბურღლუნით
ტყისკენ წაძუნძულდა.



ნახტი გრიგოლ გავრინდავშილისა

ქ. შარვაში
საბელში
პ. ლავროვი



ენის გასაგები

ოთარ შალამბერიძე
 დილით, ადრე—
 ტყეს აღვიძებს
 კაწკაწი და
 კუსკუსი;
 მისაღმება უხარია
 კაცს—კაცის და
 კუს—კუსი.

კუკა სტუკაძე

ლიდა სტვილია

დედი, დედი! მე და დათომ
 დაუიჭირეთ თეთრი ძეგლი.
 დაბმულ სტუმარს, ძეგლი სტუმარს—
 წინ დაუსხდნენ თვა, კვლა,
 ჰკითხეს:—სომ არ მოგეწოინა
 ჩვენთან უოფნა ძეგლია?
 — თუ გამიშვებთ, მადლს მოიხსნამთ,
 მინ შეიღებთ ძეგლიანო.

მხიჯული ტუქსეი

„საკატიო“ მიჯაჭი

შოთა ამირანაშვილი

- ამ ბოლო დროს დავაღებებს რატომ არ წერ გოჩა?
- ავად არის პაპაჩემი, ვერა და ვერ მორჩა.

თემოს ვკითხა

- სულ რამდენი საათია დღეღამეში, აბა?
- რამდენი და ოცდახუთი,— მიპასუხა სწრაფად.
- როგორ—მეთქი?!—გაკვირვებით მივაჩერდი თემოს.
- გუშინ არ თქვი, რომ საათით მოიმატა დღემო.

ფოსტაში


- ამანათი მძიგა და კიდევ უნდა მარკა!
- უფრო მძიგე არ იქნება?!— გაუკვირდა მაკას.

თავსატახედ

ბაბუნაწერას ჩივილი

გიული კუკულაძე

ბაბუნაწერა ჩიოდა:
— რა მიქნა ავმა ქარმაო,
თეთრი წვერები დამგლიჯა,
ამაქან-დამაქანაო,
ჩემი წვერები თანდიდა
პაპას წვერს მიაყარაო,
პაპას თავისიც პყოფნიდა,
ჩემი უნდოდა განაო?



შეადგინა წალენჯიხის სკოლის მოსწავლემ
ვალერი ძაძამიამ.

შეასეთ ცარიელი უჯრედები შესიკალფ-
რი ინსტრუმენტების სახელებით ისე, რომ
ფერად სვეტში მიიღოთ გამოჩენილი ქართ-
ველი კომპოზიტორის გვარი.

შეადგინა გორის რაიონის სოფ. მეჯვრის-
ხევის მუსიკალური სტუდიის მეორე კლასის
მოსწავლემ მარია დავითაშვილმა.

ლექსები



6112/122



დღინახვს თუ არა ძია ცხაკაძობულა
ჭინაშინას, როცა იგი ზონარის გოლოფზე
გაგა?



ნახტი მიხეილ სოლოვიოვისა

შავარი რედაქტორი შაბანა მახმადიანი

ზარდაქციო კოლეგია: ანზორ გულუაშვილი, ელუარდ აფთაძე, კუპარი გომეაშვილი, ლილა პრაბი, მავალა შავალუაშვილი, ჯიფუაი შუჯერი, გიორგი გომეაშვილი (სამ. რედაქტორი), იორაბ ძეგაძე, იმედი მამუკაშვილი, რამბერ ლაბინაშვილი, გივი ქინლაძე

საქ. აღკვ. ცენტრი და გ. ა. ლდინის საბელონის პონტროლი: ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფურცლი. უფლებ. ნახტი ზარდ ღიხაძისა

ტექნიკური დედი წამბითი

ნახმართი რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14 ტელ.: ში რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; ა/შე მდუნის—93-10-32, 93-98-17; სამ. რედაქტორის—63-98-18, ცენტრ.—93-98-19; საბელონის—93-98-16. ვადეტი ასეუზბად 13/IV-77 წ., ბელმოწერილია დსამბუვად 14/VII-77 წ., კალაღის ზომი 60X90, ფბ. ნახ. ფურც. 23, ტრეტი 157.000. ზეც. № 1176. „დია“ № 8, ნა გრუნიკომ ვაჟკე. ჟიხი 20 კაბ.

საქ. კა ცა-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

ИНДЕКС
76055